



**თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 44

2014 წლის 07 ოქტომბერი

**თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების
(გერბი და დროშა) შემუშავებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის
შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 29-ე მუხლის და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 34-ე მუხლის შესაბამისად,

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნას თვითმმართველი ერთეულის - თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების შემუშავებელი დროებითი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ნანა ხვისტანი - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრები:

პაატა გიორგობიანი - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

ნუგზარ ცაძიკიძე - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე;

ლევან მრელაშვილი	- თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
გელა აზიკური	- თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
ლევან საჩიშვილი	- თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტ-იურისტი;
არჩილ მჭედლიშვილი	- თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი;
ვალერიან ელანიძე	- ისტორიკოსი;
თეიმურაზ ვახტანგიშვილი	- ისტორიკოსი;
ბიძინა ასაბაშვილი	- არქიტექტორი;
გურამ ურჩუხიშვილი	- ისტორიკოსი;
გივი თორაძე	- მხატვარი;
დავით ჯავახიშვილი	- ისტორიის დოქტორი.

2. დროებითმა სამუშაო ჯგუფმა თავისი შემადგენლობით უზრუნველყოს:

- ა) თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების ესკიზების შესარჩევი კონკურსის წესის შემუშავება;
- ბ) დროებით სამუშაო ჯგუფში შესაბამისი პროფილის სპეციალისტების მოწვევა;
- გ) საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან წინასწარი კონსულტაციების გავლა;
- დ) განიხილოს საკონკურსო მასალები და გამარჯვებული ესკიზები წარუდგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად;

3. სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს სამი თვე;

4. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

5. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, დ.აღმაშენებლის გამზ. №41) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი